ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი № 2

სხდომის ჩატარების დრო:

26 ნოემბერი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე, ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: შ.ჯიშკარიანი, ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, მ.კოსტავა, ბ.გვეტაძე, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია, ა.მიქაუტაძე.

სულ: 25 წევრიდან - 25 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: გ.ცხაკაია და დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

საკრებულოს მეორე რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტის თაობაზე **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გააკეთა განმარტება:**

„როგორც თქვენთვის ცნობილია, მ/ წლის 30 ოქტომბრიდან, საკრებულოს ოთხ წევრს, პირადი განცხადებების საფუძველზე, შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმდინარე წლის 3 ნოემბრის განკარგულებით, საკრებულოში წარმოდგენილ იქნა მათი ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრები. ამასთან, საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქცია - „ხალხის ძალა“. აღნიშნული ვითარება მთელ რიგ ცვლილებებს იწვევს საკრებულოს ორგანოთა

შემადგენლობებში. მიმდინარე სხდომა ძირითადად, საკრებულოს პროცედურულ საკითხთა განხილვას ეხება. განსახილველად წარმოდგენილია სულ 9 საკითხი."

ამის შემდეგ, მან წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე რიგითი სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა და დავით დვალისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების

შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს მეორე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, თ.მებურიშვილმა, ე.არჩიამ და ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე რიგითი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ** დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით, გააკეთა მცირე **განმარტება:** „გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოში დღეს უნდა დარეგისტრირდეს ახალად შექმნილი ფრაქცია - „ხალხის ძალა“. ამასთან, ცნობად უნდა მივიღოთ საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილება „საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“. გთავაზობთ, დღის წესრიგის პირველი ოთხი საკითხის განხილვის შემდეგ, გამოვაცხადოთ შესვენება, რათა ახალმა ფრაქციამ შეძლოს სხდომის ჩატარება და შესაბამისი გადაწვეტილების მიღება საკრებულოს კომისიებში წევრთა წარდგენის

შესახებ. ფრაქცია შესაბამის დოკუმენტაციას გადასცემს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას, რომელიც შესვენების პერიოდში, თავის სხდომაზე განიხილავს როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ კომისიების შემადგენლობებში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე, ფრაქცია „ხალხის ძალის" მიერ წარდგენილ მასალებს. შეამოწმებს ფრაქციების მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკრებულოს მიერ დამტკიცებულ კვოტებთან, შეადგენს დასკვნას და წარუდგენს ბიუროს მე-3 სხდომას, რომელსაც ასევე, ამ შესვენების პერიოდში ჩავატარებთ. ბიუროს სხდომა ცნობად მიიღებს კომისიების შემადგენლობებში შეტანილ ცვლილებებს. ამის შემდეგ გავაგრძელებთ საკრებულოს სხდომას და განვიხილავთ მე-5 - მე-9 საკითხებს, რომლებიც საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში შესატან ცვლილებებს შეეხება."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა და დავით დვალისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **პირველ** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, თ.მებურიშვილმა, ე.არჩაიამ და ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა და დავით დვალისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამო - სილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება №33** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-2** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-2** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, თ.მებურიშვილმა, ე.არჩაიამ და ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-2** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **განკარგულება №34** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-3** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „კარგია კანონი ინტერპრეტაციის საშუალებას რომ იძლევა, მაგრამ არ მგონია სწორი იყოს, ერთი პოლიტიკური პარტიიდან არჩეული დეპუტატები ქმნიდნენ სხვადასხვა ფრაქციებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ეს თქვენი აზრია, რომელსაც პატივს ვცემთ, მაგრამ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები მიდის, ეს პირველად არ ხდება, ამიტომ, წარმატებას ვუსურვებთ მათ პოლიტიკურ საქმიანობაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „მე არ ვიცი რას გულისხმობთ, როცა პოლიტიკური პროცესის სიჯანსაღეზე საუბრობთ. თუ ამოვალთ იქედან, რომ ძლიერი პოლიტიკური პარტიული

სისტემა მნიშვნელოვანი წინაპირობაა გამართული წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის, მესმის, მაგრამ, როცა თქვენი პოლიტიკური ძალა ცდილობს, (საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა მაქვს მხედველობაში), პოლიტიკური პარტიების აკრძალვას, როცა ფეხქვეშ ითელება პატივისცემა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ვერანაირად ვერ დაგეთანხმებით პროცესის სიჯანსაღეში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „რაც შეეხება პოლიტიკურ სიჯანსაღეს. სწორედ იმ პოლიტიკური პარტიების აკრძალვა ხდება, რომლებიც ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ყოფნის დროს მოქმედებენ და მუშაობენ იმაზე, რომ წავიდნენ სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ. სწორედ ასეთ დროს ხდება (ამის მაგალითი ბევრ ქვეყანაში არსებობს), ასეთი პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების აკრძალვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ქართველ ხალხს ძალიან კარგი მეხსიერება აქვს და ყველას ძალიან კარგად ახსოვს პირსისხლიანი რეჟიმი. ამიტომ, სწორად ხდება მათი აკრძალვა, რადგან ასეთი რეჟიმი საქართველოში აღარ უნდა დაბრუნდეს. ცოტა მძიმეა მათი მეხოტბეებისთვის წარსულის გახსენება, მაგრამ სამწუხაროდ, წარსულს ვერსად ვერ გავექცევით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „არ ვიცი ვის გულისხმობთ მეხოტბეებში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „თქვენ თავად აღნიშნეთ, რომ ამ პოლიტიკური პარტიების აკრძალვა არადემოკრატიულია. იმათი მოღვაწეობა ასახავს მათ წარსულს და თქვენ მათი აკრძალვა არასამართლიანად მიგაჩნიათ. ამ ყველაფერს განიხილავს და გადაწყვეტილებასაც სასამართლო მიიღებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „სასამართლო, რომელიც არ არის დამოუკიდებელი და თავისუფალი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „სასამართლოში არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია მოღვაწეობენ ამ

სტრუქტურაში და ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო არ ერევა მათ საქმიანობაში და ის არის დამოუკიდებელი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „თქვენ 22 ხართ და მე, ოპოზიციას, რამდენჯერ მაქვს უფლება გავაკეთო რეპლიკა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „რამდენჯერაც მოისურვებთ, შეზღუდული არ ხართ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „რეპლიკის გაკეთებაში შეზღუდული არ ხართ, მაგრამ არგუმენტირებული პასუხების გარეშე ვერ დაგტოვებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-3** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, თ.მებურიშვილმა, ე.არჩაიამ და ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-3** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" **განკარგულება №35** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-4** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-4** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-4** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე" **განკარგულება №36** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა შესვენება 40 წუთით.

შესვენების პერიოდში ჩატარდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომები.

შესვენების დასრულების შემდეგ, საკრებულოს მეორე რიგითმა სხდომამ მუშაობა გააგრძელა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-5** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-5** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-5** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №14 განკარგულებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №37** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-6** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-6** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-6** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №38** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-7** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-7** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-7** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №39** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-8** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-8** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-8** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №40** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-9** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-9** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-9** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **განკარგულება №41** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითების განხილვის დასრულების შემდეგ **განცხადება** გააკეთა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ:** „საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, საკრებულოს რიგითი სხდომის მოწვევა განსაზღვრულია თვის ბოლო ოთხშაბათს. წელს, ბოლო ოთხშაბათი უწევს 31 დეკემბერს. მოგეხსენებათ, მიმდინარე წელი სრულდება, მოდის ახალი წელი. არის სადღესასწაულო დღეები, რომელიც ძალიან დატვირთულია თითოეული ჩვენგანისათვის. ამასთან, დეკემბრის რიგით სხდომაზე უნდა დავამტკიცოთ 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. გვექნება სხვა აუცილებელი საკითხებიც განსახილველი. იმ დღესვე, საკრებულოს აპარატს გაუჭირდება ამ აქტების გამოცემა, საკანონმდებლო მაცნეს პროგრამაში შედგენა და მაცნეში გადაგზავნა. აღნიშნული პროცედურები კი, აუცილებლად ამ წელს უნდა დასრულდეს. საკრებულოს რეგლამენტის 54-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება რიგითი სხდომების მოწვევის განრიგში ცვლილების შეტანის თაობაზე. შემოვდივარ წინადადებით, საკრებულოს მე-3 რიგითი სხდომა, ნაცვლად, 31 დეკემბრისა, ჩატარდეს მიმდინარე წლის 24 დეკემბერს. ხოლო, შესაბამისი ბიუროს სხდომა მოწვეულ იქნეს 17 დეკემბერს."

ზემოაღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი ა.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რიგითი სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 24 დეკემბერს.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შემუშავების მიზნით, საკრებულოს ბიუროს მე-6 სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 17 დეკემბერს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 რიგითი სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-2 რიგითი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.